



არემაჭი

სიასღლეები

რიჩ მეტალს გრუპი

N 24 | სექტემბერი | 2016

კომპანია „არემაჭი“ თანამშრომლებს უფასო სადილით უზრუნველყოფს



პირველი სექტემბერიდან კომპანია „არემაჭი“ ახორციელებს მასშტაბურ პროექტს, რომელიც თვის განმავლობაში 2000-მდე თანამშრომლის უფასო საკვებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. კომპანიის ხელმძღვანელობა აღნიშნულ პროექტზე რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა. ყოველდღიურად ცვლაში მომუშავე 1100 მუშა-მოსამსახურე კეთილმოწყობილ კვებით ობიექტებში მათთვის სპეციალურად შერჩეულ მრავალფეროვან კალორიულ საკვებს მიიღებს. ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია „ფრაგოლა“ კომპანიის თანამშრომლებს სადილზე სამი სახეობის საკვებს შესთავაზებს: ცხელი წვნიანი, ძირითადი კერძი და სალათი; ღამის ცვლაში მომუშავე პერსონალს კი მშრალი საკვებიც დაურიგდება. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად 25 ადგილობრივი ადამიანი დასაქმდა. მსგავსი მასშტაბის პროექტი, რომელიც ყოველდღიურად 2000-მდე თანამშრომლის (ორი ცვლა) უფასო საკვებით

უზრუნველყოფას ითვალისწინებს, საწარმოს ისტორიაში პირველად ხორციელდება.

მაკო საბანაძე („ფრაგოლას“ ქსელის დირექტორი) – „მენიუ სამი თვის მანძილზე მუშავდებოდა და ის შერჩეულია თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკისა და დატვირთვის გათვალისწინებით. რაციონში შესულია კალორიული საკვები. გვაქვს „ჰასპის“ საერთაშორისო სერთიფიკატი, რომელიც გულისხმობს უსაფრთხო კვებას. „ფრაგოლა“ კომპანიის თანამშრომლებს აუცილებლად გემრიელ საკვებს მიიწვდის“.

ნინო გავაშელი („არემაჭის“ თანამშრომელი) – „ძალიან ბევრი პრობლემა მოგვეხსნა, როგორც ფინანსურად, ასევე კვების მხრივ. მენიუ მრავალფეროვანია, არის არჩევანის საშუალება და რაც მთავარია, ყოველდღიურად იცვლება საკვები. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საწარმოს ხელმძღვანელობას“.

ნანა ჯაყელი („არემაჭის“ თანამშრომელი) – „შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი საწარმოს წინსვლისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. თანამშრომლებს დაეზოგათ თანხა, აღარ უწევთ იმაზე ფიქრი, რა მოამზადონ სახლებში და რა



გამრძელება მეორე გვერდზე



წამოიღონ სადილად. საკვები მრავალფეროვანია, მომსახურებაც მაღალ დონეზეა და ჰიგიენაც დაცულია."

საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ოთხ საკვებ პუნქტს, სადაც თანამშრომლები ისადილებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. კეთილმოეწყო გარემო და დამონტაჟდა საჭირო ტექნიკა. მე-5 დამატებითი საკვები პუნქტი აშენდა საყდრისის კარიერზე.

„არემჯის“ აღმასრულებელმა დირექტორმა საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყველა კვებითი ობიექტი დეტალურად დაათვალიერა.



„არემჯი გოლდის“ და „არემჯი კოპერის“ მსგავსი პროფესიების თანამშრომლები დაკორექტირებულ ხელფასებს მიიღებენ

კომპანია „არემჯი გოლდის“ და „არემჯი კოპერის“ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად, საჭირო გახდა გარკვეულ ქვედანაყოფებს შორის ხელფასების დაკორექტირება.

აღნიშნული ცვლილებები ძირითადად შეეხო წარმოების ბლოკს. კერძოდ: სამთო წარმოების თანამშრომლებს, სარემონტო პერსონალს, გეოლოგებისა და მარკშეიდერების სამსახურებს, სპილენძის კონცენტრატის მწარმოებელი ფაბრიკის თანამშრომლებს და სხვ.

ხელფასების დაკორექტირებით თანაბარ შესაბამისობაში მოვიდა ერთი და იგივე ან მსგავსი პროფესიების თანამდებობრივი სარგოები.

მომავალში კომპანიაში იგეგმება შრომის ანაზღაურების სისტემის კიდევ უფრო დახვეწა და სრულყოფა. აღნიშნული ბრძანება ხელფასების დაკორექტირების შესახებ ძალაში 2016 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა.



„კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავს ჩვენი თანამშრომლებისათვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნასა და მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ხელფასების მატებასა და დაკორექტირებაზე ჩვენი სამსახური ჯერ კიდევ 2016 წლის მაისიდან მუშაობს. მაშინ „არემჯი კოპერის“ თანამშრომლებს, რომლებიც 1000 ლარზე ნაკლებ

ყოველთვიურ ხელფასს იღებდნენ, ანაზღაურება 100 ლარით მოემატათ. ოქტომბერში დაკორექტირებულ ხელფასებს სამთო წარმოების თანამშრომლები, სარემონტო პერსონალი, გეოლოგები და მარკშეიდერები მიიღებენ. ჩვენ განვაგრძობთ შრომის ანაზღაურების სისტემის დახვეწას, რათა მომავალში სასიკეთო ცვლილებები კომპანიის თითოეული თანამშრომლის შემოსავალზე აისახოს,“ - აღნიშნა კომპანია „არემჯის“ ფინანსურმა დირექტორმა ლაშა მეფარიშვილმა.

სამხრივი მემორანდუმი



30 სექტემბერს, ბოლნისის მუნიციპალურ გამგეობაში, "არემჭის" პარტნიორ შპს "კავკასიის სამთო ჯგუფს," მუნიციპალურ გამგეობასა და ამავე მუნიციპალიტეტის სოფლების (ქვეში, ძველი ქვეში, ძეძვნარიანი) მოსახლეობას შორის ხელი მოეწერა სამხრივი მემორანდუმს.

აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს რამდენიმე პუნქტს, რომელთა შორის პრიორიტეტულად მატერიალურ-ტექნიკური ზარალის შემთხვევაში მისი ანაზღაურება ითვლება.

ჯონი შუბითიძე (შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ დირექტორი):

„ეს არის მომავალი სამთო პროექტი, რომელიც უკავშირდება ბექთაქარის და სენების ტერიტორიაზე ოქრო-პოლიმეტალური საბადოს დამუშავებას. აღნიშნულ საბადოზე სამუშაოები იწარმოებს ახალი, მიწისქვეშა დამუშავების მეთოდით.“

კომპანიის სპეციალისტებთან ერთად საბადოზე ადგილობრივი მაცხოვრებლები იმუშავებენ. მუშახელის გარდა, აქ სამომავლოდ ალიზრდებიან სპეციალისტები, რომლებიც საჭიროა ახალი სამთო ტექნოლოგიების დამუშავებისთვის.“



ნიკოლოზ კარიჭაშვილი („არემჭის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი):

„მსგავსი ტიპის მემორანდუმი პირველად გაფორმდა კომპანიას და მოსახლეობას შორის. ჩვენი კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ მომავალში რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში მოხდეს კომპენსაცია და დაზიანების აღდგენა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ახალ ობიექტზე მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.“

ვალენტინა ნავერიანი (ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი):

„დღეს ხელი მოეწერა მნიშვნელოვან მემორანდუმს. ეს არის მუნიციპალიტეტს, სამთო ჯგუფსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის გაფორმებული შეთანხმება. არცთუ ისე შორეულ წარსულში ასეთი ტიპის სანარმოები ისე



იხსნებოდა, რომ მუნიციპალიტეტის და მოსახლეობის ინტერესები იგნორირებული იყო. მე ვთვლი, რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი. ამ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება თავიდან ბოლომდე საქმის კურსში იქნება, თუ რა სახის სამუშაოები უნდა ჩატარდეს მის ტერიტორიაზე. რაც მთავარია, კომპანიის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები იქნება გათვალისწინებული.“

დიმიტრი ურუმაშვილი (სოფელ ქვეშის მცხოვრები):

„ხელი მოვანერეთ მემორანდუმს, რომ ჩვენს სოფლებზე გამავალ ცენტრალურ მაგისტრალზე კომპანიის მძიმე ტექნიკის გადაადგილებისას ყურადღება უნდა მიექცეს გზას. კომპანია მთლიანად იღებს ვალდებულებას, რომ დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მატერიალური ზიანის ანაზღაურება.“

„არემეტის თასი - 2016“ დაიწყო



26 სექტემბერს, დაბა კაზრეთში, სტარტი აიღო ტრადიციულად ქვეყნულმა მინი-ფეხბურთის ტურნირმა „არემეტის თასი - 2016“. შეჯიბრება ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება და ექვსი ადგილობრივი გუნდი იასპარეზებს. მათ შორის იქნება საწარმოს თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც კომპანიის სახელით მიიღებს მონაწილეობას. ტურნირის გახსნას ფეხბურთის ადგილობრივი გულშემოტკივრები და მოწვეული სტუმრები, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი გოგი მეშველიანი, გამგებლობის კანდიდატი დავით შერაზაძეშვილი, შტაბის უფროსი ნუკრი ანდრიაძე და ბოლნისის საფეხბურთო კლუბ „სიონი“-ს გენერალური დირექტორი ლადო ბურდული ესწრებოდნენ. მათ მონაწილე გუნდებს წარმატება უსურვეს.

გოგი მეშველიანი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბოლნისში) - „სტუმრის სტატუსით ვიმყოფები ამ ტურნირზე, რომელსაც უკვე მესამე წელია ტრადიციულად ატარებს „არემეტი“ და მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან კარგი ტრადიცია იმისთვის, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა ჯანსაღი

ცხოვრების წესით იცხოვრონ“.

ლადო ბურდული (საფეხბურთო კლუბ „სიონის“ გენერალური დირექტორი) - „ასეთი მინი-ტურნირები არის საწყისი და პირველი ეტაპი, რამაც შეიძლება პატარა ბავშვს შეაყვაროს ფეხბურთი. „არემეტის“ კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით ასეთი კარგი წამოწყებისთვის“.

სტადიონზე შეკრებილ საზოგადოებას მინი-ფეხბურთის ტურნირის დაწყება მიულოცა კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ კარიჭაშვილმა და სამომავლოდ შეჯიბრების გაფართოებაზეც ისაუბრა.

ნიკოლოზ კარიჭაშვილი („არემეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი) - „ძალიან მიხარია, რომ უკვე ტრადიციულად იქცა მინი-ფეხბურთის ტურნირი „არემეტის თასი“. ერთი სიახლეც გავაცანი დამსწრე საზოგადოებას და მონაწილე ფეხბურთელებს - „არემეტის თასი“ მომავალი წლიდან გაფართოვდება და მთელი რეგიონის მასშტაბით ჩატარდება. კომპანია ყოველთვის დაუჭერს მხარს ჯანმრთელი ცხოვრების წესს და რეგიონსა თუ დაბაში კიდევ ბევრი რამ გაკეთდება სპორტის წინსვლისთვის.“



საინფორმაციო შეხვედრა კაზრეთის კულტურის სახლში



პირველ ოქტომბერს, დაბა კაზრეთის კულტურის სახლში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა „არემეტის“ ხელმძღვანელობასა და ხელოვნებისა და სპორტის იმ წარმომადგენლებთან, რომლებსაც კომპანია უკვე წლების მანძილზე დახმარებას უწევს. შეხვედრას ესწრებოდნენ დაბის სკოლისა და საბავშვო ბაღების წარმომადგენლებიც, რომლებმაც ფართო აუდიტორიის წინაშე ისაუბრეს „არემეტის“ მიერ გაწეული ქველმოქმედებების შესახებ და კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს, დავით ბალანჩივაძესა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნიკოლოზ კარიჭაშვილს მადლობა გადაუხადეს. კომპანიის მიერ გაწეული მრავალწლიანი საქმიანობა დადებითად შეაფასეს იმ ბავშვების მშობლებმაც,

რომელთა კულტურული თუ სპორტული აქტივობა ფინანსდება „არემეტის“ მიერ.

ნანა მალრაძე (კაზრეთის 2 საჯარო სკოლის პედაგოგი) - „მსგავსი შეხვედრები ყოველთვის კარგია. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი შეხვედრით. გვაქვს იმედი, რომ სამომავლოდ დაბაში ბევრი რამ გაკეთდება. როგორც პედაგოგი ვიტყვი, რომ „არემეტი“ ჩვენი სკოლის ყურადღებიანი მეგობარია, ბევრი სიკეთე გააკეთა და მადლობის მეტი არაფერი არ მეთქმის“

ნათია მოსეშვილი (კაზრეთის საბავშვო ბაღის აღმზრდელი) - „თითოეულ ოჯახში შეიხედო თუნდაც იმით, რომ წლების მანძილზე კომპანიის წარმომადგენლები მოდიან ჩვენთან ერთად აღნიშნავენ პირველ ივნისს და გვაფასებენ. ყოველთვის ჩვენს გვერდით დგანან და ყველაფრისთვის დიდ მადლობას ვუხდით“

ნიკოლოზ კარიჭაშვილი („არემეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი) - „საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ დაბის მოსახლეობასთან, უფრო კონკრეტულად კი იმ ბავშვებთან და მათ მშობლებთან, რომლებიც კომპანიის მიერ დაფინანსებულ სპორტისა თუ ხელოვნების სხვა და სხვა სახეობის წრეებზე დადიან. გვინდოდა გაგვეგო მათი აზრი, თუ რამდენად სწორად მიაჩნიათ ის საქმიანობა რასაც „არემეტი“ ახორციელებს დაბაში. შეხვედრაზე პარტიურობის თბილი დამოკიდებულებიდან და აქტიური ჩართულობიდან გამომჩნდა, რომ კომპანია თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ყველა ნაბიჯს სწორად დგამს.“

